განკარგულება:**გ-47.47212144**
თარიღი:**02/08/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N35

მიღების თარიღი: 30.07.2021წ.

დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 272.30 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.016.01.508) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 272.30 კვ.მ. ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.016.01.508) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი“-სათვის (ს/კ - 441994816) 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი